მე ვარ პატრიოტი

როდესაც სამშლოს თემას ვეხებით, მაშინვე გვეფიქრება, სიყვარულსა და პატრიოტიზმზე, რადგან სამშობლო თავისთავად დაკავშირებულია ამ ორთან. პატრიოტობა გულისხმობს არა მხოლოდ მრისხანე მტრის წინააღმდეგ ბრძოლებში დაღუპულ გმირებს, არამედ გაცილებით მეტს. ქართველი ხალხი ყოველთვის გამოირჩეოდა პატრიოტიზმით. უამრავი გმირი დაბადებულა ჩვენს ქვეყანაში, რომელიც გაუტეხელად იბრძოდა მტრის წინააღმდეგ. დიახ, ისინი ნამდვილი პატრიოტები იყვნენ, თუმცა ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში მსოფლიო შეიცვალა, ჩამოყალიბდა ახალი ღირებულებები, ასპექტები და ხედვები პატრიოტიზმთან დაკავშირებით.
პატრიოტობაში ჩამალულია ისეთი ღირებულებები, როგორიცაა სამშობლოსადმი სიყვარული, ზრუნვა, დაცვა, თანადგომა, შრომა, განათლება. ბევრისგან გამიგონია, რომ საქართველოში დარჩენას აზრი არ აქვს, სხვა ქევეყანაში უკეთესი მომავალი გველის, თუმცა სწორედ თავდაუზოგავი შრომითა და საფუძვლიანი განათლებით, ადამიანი შეძლებს დაეხმაროს თავის სამშობლოს წინსვლაში. შრომით იგი სიყვარულს გამოხატავს და აჩვენებს, რომ ის ზრუნავს თავის სამშობლოზე და ყველაფერს აკეთებს მისი გაუმჯობესებისთვის. თუმცა პატრიოტიზმი,მაინც უფრო გრძნობის საქმეა ვიდრე ჭკუა-გონების. შეიძლება სულაც არ იყო განათლებული, ვერ ეხმარებოდე საკუთარ თავსა და ქვეყანას,, მაგრამ იმ განათლებულზე მეტი პატრიოტი იყო და უფრო მეტად გიყვარდეს შენი სამშობლო. პატრიოტიზმი, როგორც სიცოცხლე, თითქოს დაბადებასთან ერთად ჰყვება ადამიანს. არ აქვს მნიშვნელობა რა ეროვნების ხარ, პატრიოტ ადამიანს ყოველთვის განსაკუთრებულად და სხვებზე მეტად ეყვარება ის მიწა, სადაც დაიბადა და გაიზარდა.
პირადად ჩემთვის პატრიტიზმი არის ძლიერი სიყვარული სამშობლოს მიმართ. ვფიქრობ, რომ სულაც არ არის აუცილებელი გქონდეს უმაღლესი განათლება, იღებდე აქციებში მონაწილეობას, იცავდე ქვეყანას სხვა ერებისა და ქვეყნების დამცირებით ან შეურაცჰყოფის მიყენებით. უბრალოდ უნდა გვიყვარდეს სამშობლო. მიუხედავად იმისა, რომ არ ვარ ქართველი, დიდი პატრიოტი ვარ ჩემი ქვეყნის. უსაზღვროდ მიყვარს ჩემი სამშობლო. აქ დავიბადე და გავიზარდე. შეიძლება ხშირად არ ვამბობდე და არ გამოვხატავდე ამას, მაგრამ ჩემი სამშობლოს შვილი ვარ! დიდ პატივს ვცემ ტრადიციებს და საქართველოს კულტურას. მიყვარს ასევე ქართული სამზარეულო და ჩვენი ოჯახის სუფრაც მის გარეშე არ არსებობს. მიყვარს ჩემი ქვეყნის თითოეული კუთხე–კუნჭული. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ საქართველო ყველა დანარჩენზე მეტად მიყვარს, პატივს ვცემ ყველა ქვეყანას და ერს, თუმცა ის ჩემთვის განსაკუთრებულია, რადგან აქ ჩემი სახლია. შეუძლებელია სხვა ქვეყანა სამშობლოსნაირად მიყვარდეს, რადგან ადამიანი ათასს ადგილას არ იბადება. ვამაყობ, რომ საქართველოში დავიბადე, მისი ტკივილი, ჩემი ტკივილია და მისი წარმატებაც – ჩემი წარმატებაა. სწორედ ამ ადგილას ვგრძნობ თავს თავისუფლად და ლაღად. შეიძლება წლების შემდეგ ბევრი ჩვენთაგანი სულაც აქ არ აღმოჩნდეს, თუმცა ნამდვილ პატრიოტს ყოველთვის გულში ეყოლება თავისი სამშობლო, ადამიანი სადაც მიდის, მიაქვს თავისი თავის ნაწილი, მეც ჩემ ნახევარსაც აქ დავტოვებდი.
 ერთი სიტყვით, უნდა გვიყვარდეს ჩვენი ერი, ქვეყანა, უნდა ვიშრომოთ მის საკეთილდღეოთ, არ უნდა გვძულდეს სხვა ერები და არ უნდა გვშურდეს სხვისი ბედნიერება, უბრალოდ უნდა ვეცადოთ რომ ჩვენი ქვეყანა არ დაიჩაგროს, მხარში დავუდგეთ მას. როგორც ილია ჭავჭავაძე ამბობდა: ,,სამშობლო ადამიანის სიცოცხლის განუყოფელი ნაწილია. უსამშობლო ადამიანი სულით ღატაკია და საცოდავი..”

მილა მარკოზოვი